სკ დინამო თბილისი
პაიჭაძის ქ.; დიღმის მასივი; III კვარტალი
თბილისი 0159; საქართველო
ტელ.: 995 32 249 67 77
995 32 251 88 77
ფაქსი: 995 32 252 27 84

DINAMO TBILISI
1925

23 12 2013

N: 02/178

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს

ბატონ დომენტი სიჭინავას

ბატონო დომენტი,

ჩვენთვის ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ცნობილია და ზედმეტია იმის შეხსენება, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთპიროვნული აღიარების შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. თუმცა ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ჩვენი ქვეყანა არ აპირებს სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებას.

ჩვენმა კლუბმა მიიღო გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგში დემენტიევის 100 წლისადმი მიძღვნილ ტურნირში /დინამიადაზე/ მონაწილეობის შესახებ. თბილისის დინამოს გარდა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ასევე მიწვეულნი იყვნენ მოსკოვის, კიევის, მინსკის, სანკტ- პეტერბურგის, ვოლოგდის, ბრიანსკის, სტავროპოლის დინამოები და სანკტ-პეტერბურგის ზენიტი. დანართის სახით გთავაზობთ ტურნირის ორგანიზატორების მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ სოხუმის დინამო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ გუნდებს შორის არ ფიგურირებს და მათი ტურნირში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია ჩვენ ვერ გვექნებოდა.

ჩვენს კლუბს აფხაზეთის სახელით და დროშით მოასპარეზე სოხუმის დინამოსთან არასოდეს არსად არ უთამაშია და არც არასოდეს ეთამაშება. იმ შემთხვევაში თუ დინამოს მოუწევდა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სოხუმის დინამოსთან დაპირისპირება, ჩვენი გუნდი მათთან სათამაშოდ მოედანზე არ გავიდოდა.

იმედია ის დროც მოვა, როცა თბილისის და სოხუმის დინამოელები საქართველოს დროშის ქვეშ, საქართველოს ჩემპიონატში სოხუმში ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის დინამოს ვიტალი დარასელიას სახელობის აკადემიის U-13 გუნდმა ჯგუფური ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ ნახევარფინალში კიევის და ფინალში მოსკოვის დინამოსთან მოგებით შეძლო ტურნირში გამარჯვება. სამწუხაროდ პატარა დინამოელებისთვის გამარჯვება არავის მიულოცია. მიწვევის შემთხვევაში ჩვენი აკადემიის ასაკობრივი გუნდები მომავალშიც მიიღებენ მონაწილეობას დინამოელთა ტურნირებში, ერთ-ერთი ტურნირის მასპინძელი კი ჩვენი კლუბიც იქნება.

პატივისცემით,

პრეზიდენტი
რომან ფიფია

МЕЖРЕГИОНАЛЬНОЕ ОБЪЕДИНЕНИЕ ФЕДЕРАЦИЙ ФУТБОЛА
"СЕВЕРО-ЗАПАД"

Россия, 196084, г. Санкт-Петербург Московский пр., 148 "Д"
тел/факс (812) 368-29-86, e-mail: mronw@mail.ru, www.mronw.ru

Уважаемые господа!

В 2013 году исполняется 100 лет со дня рождения известнейшего русского футболиста, заслуженного мастера спорта СССР Петра Дементьева («Пека»).

Приглашаем Вашу команду принять участие в традиционном турнире по футболу его памяти, проводимом при поддержке Российского футбольного союза и Центрального совета Общества «Динамо». В состязаниях примут участие юные футболисты 2000 года рождения.

К участию в турнире приглашены команды «Динамо» (Москва), «Динамо» (Киев), «Динамо» (Тбилиси), «Динамо» (Минск), «Динамо» (Санкт-Петербург), «Динамо» (Вологда), «Динамо» (Брянск), «Динамо» (Ставрополь), «Зенит» (Санкт-Петербург).

Сроки проведения турнира 9 – 13 декабря 2013 года, матчи будут проходить ежедневно с 9 до 15 часов на искусственном газоне крытого Дворца спортивных игр «Зенит». Проживание в отелях, питание и транспортное обеспечение на месте проведения соревнований за счет организаторов, проезд до места проведения за счет командирующей организации. В составе делегаций 16 футболистов и 4 официальных лица.

С уважением,
директор турнира — Д. И. Шнейдер

Исп. Иванов А.Ю.
89219567531
Iva_nov@mail.ru

ТрансКредитБанк
Банк, с которым по пути

WWW.MRONW.RU